

მთა-მდელოს კორდიანი - Bergwiesen (soden) böden

მთა-მდელოს ნიადაგები ყველაზე გავრცელებული ნიადაგებია საქართველოში. საერთო ფართობი შეადგენს 954.000 ჰა, რაც მთელი ტერიტორიის 14,1 უდრის. გავრცელებულია კავკასიონის და ამიერკავკასიის სამხრეთ მთიანეთის სუბალპურ და ალპურ ზონაში, ზღვის დონიდან 1800 მეტრიდან - 3500 მეტრამდე. ემიჯნება მთა-ტყე-მდელოს ნიადაგებს. ხასიათდება არადიფერენცირებული პროფილით. პროფილის შენებაა: A-B-BC-C. მისი ძირითადი დიაგნოსტიკური მახვენებელია კარგად გამოხატული ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, მცირე ან საშუალო სიმძლავრე. ნიადაგი ხასიათდება გაკორდებოთ ზედაპირიდან, მუქი შეფერილობის არამყარ-წვრილმარცვლოვანი ჰუმუსოვანი ჰორიზონტით, მომკვრივო ილუვიური ჰორიზონტით, ხირხატის საკმაო შემცველობით, სიღრმით ქანის ნამტვრევების გადიდებული შემცველობით. მუავე ან სუსტად მუავე რექციით, მაღალი (იშვიათად საშუალო) და ღრმა ჰუმუსირებით, ჰიგროსკოპული წყლის მაღალი შემცველობით, მოცულობითი წონით 0,95-1,18 ფარგლებში, თიხნარი ან თიხა მექანიკური შედგენილობით, შთანთქმის დაბალი და საშუალო ტევადობით, არამაძვრობით. ნიადაგები საშუალოდ უზრუნველყოფილია (0-10) და ღარიბია (10-20) ჰიდროლიზებადი აზოტით, მდიდარია შთანქმეული ფოსფორით და საშუალოდ უზრუნველყოფილია (0-10) და ღარიბია (10-20) გაცვლითი კალიუმით. კორდის დარღვევის (ძირითადადში მოუწესრიგებელი ძოვებისას) შემთხვევაში იზრდება ეროზიული პროცესების საშიშროება.

Bergwiesenböden sind die am meisten verbreiteten Böden in Georgien. Ihr gesamter Bereich macht 9.540 qkm aus, das entspricht 14,1% der Landesfläche. Man findet sie häufig in der subalpinen und alpinen Zone des Kaukasus und "Amierkaukasus" in den südlichen Gebirgsregionen. Die Meereshöhe dieser Böden liegt zwischen 1800m und 3500m. Bergwiesenböden unterscheiden sich von den Bergwaldwiesenböden durch ein weniger differenziertes Profil, das charakterisiert ist durch einen Aufbau des Profils in folgende Horizonte: A-B-BC-C. Hauptdiagnostisches Zeichen jener Böden ist ein gut ausgebildeter Humushorizont geringer oder mäßiger Tiefe. Der Oberboden ist geprägt durch einen Wurzelfilz (Grassoden), dunkelfarbig und mit wenig Einzelkornstruktur, einen Illuvialhorizont mit wenig Konkretionen, nennenswerte Steingehalte die mit der Tiefe deutlich zunehmen. Bergwiesenböden sind durch folgende chemische Eigenschaften charakterisiert: durch eine saure oder schwach saure Reaktion, einen hohen Gehalt an higroskopischem Wasser, eine Lagerungsdichte zwischen 0,95-1,18 g/ccm, lehmig oder tonige Körnung, geringe oder durchschnittliche Absorptionskapazität, ungesättigt. Die Böden sind nur mittel versorgt (0-10cm) oder arm (10-20cm) an hydrolisierbarem Stickstoff, sind reich an mobilem Phosphor und mittel versorgt (0-10cm) oder arm (10-20cm) an austauschbarem Kalium. Im Falle einer Beschädigung der Grasnarbe (hauptsächlich im Falle von Überweidung) nimmt die Gefahr der Erosion zu.

